დანართი №2
დამტკიცებულია შპს „საერთაშორისო პროფესიული
განათლების აკადემიის“ დირექტორის
2026 წლის 28 მარტის №2 გრძანებით

შპს „საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის“ განვითარების სტრატეგიული გეგმა 2026-2033 წლებისთვის

შესავალი

შპს „საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის“(შემდგომში — კოლეჯი) განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე, მათ შორის დამფუძნებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლებისა და პროფესიული განათლების სპეციალისტების მონაწილეობით.

დოკუმენტი ითვალისწინებს ქვეყნის საგანმანათლებლო პრიორიტეტებსა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. იგი ასახავს კოლეჯის გრძელვადიან ხედვას, მისიას, საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და სტრატეგიულ მიზნებს 2026–2033 წლებისთვის. სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს დაწესებულების შიდა სამუშაო ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება საერთო ღირებულებებსა და შეთანხმებულ პრინციპებს. მისი იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

სტრატეგიული გეგმა უზრუნველყოფს კოლეჯის განვითარების მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობას, რაც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, თვალი ადევნონ პროგრესს დასახული მიზნების მიმართულებით. ამასთან, დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო ხასიათის სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ღია კომუნიკაციას და ქმნის საფუძველს მხარეთა ჩართულობისთვის დაწესებულების სრულყოფის პროცესში.

1. ინსტიტუციური ხედვა

1.1. მისიის განაცხადი

კოლეჯის მისიაა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრების მომზადება.

კოლეჯი ორიენტირებულია რეგიონისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მულტიპროფილური საგანმანათლებლო მიმართულებებით. დაწესებულება ქმნის წინაპირობებს ბენეფიციართა საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის. მისია მიმართულია სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ.

1.2. ხედვა

კოლეჯის ხედვაა, ჩამოყალიბდეს წარმატებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად ქვემო ქართლის რეგიონში, რომელიც განავითარებს შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროგრამებს, დაამყარებს მჭიდრო სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას და უზრუნველყოფს პროფესიონალ თანამშრომელთა და მასწავლებელთა გუნდის მუდმივ განვითარებას.

კოლეჯი მიზნად ისახავს დივერსიფიცირებულ დაფინანსებაზე დაფუძნებულ მდგრად განვითარებას და 2033 წლისთვის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის მიღწევას.

1.3. ღირებულებები

- **გუნდურობა:** თანამშრომლობითი კულტურის განვითარება საერთო მიზნების მისაღწევად, ცოდნის გაზიარებისა და ერთობლივი გადაწყვეტილებების გზით.

- **გამჭვირვალობა:** მართვის პროცესების ღიაობა, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას, ნდობასა და ობიექტურ შეფასებას.

- **პროგრესულობა:** თანამედროვე მიდგომების დანერგვა და უწყვეტი განვითარება კონკურენტუნარიანი კადრების მოსამზადებლად.

- **ტოლერანტობა:** განსხვავებული აზრის, კულტურისა და იდენტობის პატივისცემა; ინკლუზიური გარემოს ფორმირება.

- **ინოვაციების მხარდაჭერა:** ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლებასა და მართვაში.

- **ადამიანის უფლებათა დაცვა:** თანასწორი და ღირსეული მოპყრობის უზრუნველყოფა, უსაფრთხო და ეთიკური გარემოს შექმნა.

- **ინტერნაციონალიზაცია:** საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და გლობალური პრაქტიკის დანერგვა.

1.4. სამუშაო პრინციპები

- ინდივიდუალური მიდგომა თითოეული ბენეფიციარისადმი;
- პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება;
- დასაქმებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზება;
- კომფორტული და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა;
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის მუდმივი განვითარება;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების (LLL) მხარდაჭერა.

2. ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა

2.1. დაარსების მიზანი და რეგიონული კონტექსტი

შპს „საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის“დაარსება ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ მარნეულის მუნიციპალიტეტში, მიზნად ისახავს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პოტენციალის გაფართოებას.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯი ორიენტირებულია ახალგაზრდებისა და ზრდასრულთა პროფესიულ გაძლიერებაზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და მიგრაციული პროცესების შემცირებას.

2.2. სტრატეგიული პრიორიტეტები რეგიონში

კოლეჯი გეგმავს განავითაროს საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით:

- შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მულტიპროფილური პროგრამების დანერგვა;
- ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით;
- ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ინკლუზიური და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება.

მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურული მრავალფეროვნება ქმნის უნიკალურ სოციალურ გარემოს, სადაც პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება

სტრატეგიული მნიშვნელობისაა. კოლეჯი მზად არის, გახდეს რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი საგანმანათლებლო კერა, რომელიც უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს.

2.3. სტატუსი და ინსტიტუციური პარტნიორები

შპს „საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემია“ წარმოადგენს 2026 წელს დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს. აკადემიის დამფუძნებლების ინიციატივა მიზნად ისახავს **რეგიონის მასშტაბით** თანამედროვე, პრაქტიკაზე ორიენტირებული და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული განათლების მოდელის განვითარებას.

დამფუძნებელთა მრავალწლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო პროცესების მართვასა და ადმინისტრირებაში ქმნის დაწესებულების მდგრადი განვითარების მყარსაფუძველს. მათი სტრატეგიული ხედვა მიმართულია ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნისკენ, სადაც აკადემიური ხარისხი და დამსაქმებელთა მოთხოვნები ჰარმონიულ თანხვედრაშია.

აკადემიის ძირითადი დანიშნულებაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელება. დაწესებულება ორიენტირებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე.

კოლეჯი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე. აკადემიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს **რეგიონული სპეციფიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების** შესაბამისად მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების შეთავაზება და მათი უწყვეტი განვითარება.

3. სტრატეგიული კონტექსტი და შესაძლებლობები

3.1. კონტექსტის მიმოხილვა

პროფესიული განათლებისადმი მზარდი ინტერესის ფონზე გამოიკვეთა მრავალპროფილური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების აუცილებლობა. კოლეჯი, ინსტიტუციური განვითარების საწყის ეტაპზე, გეგმავს მრავალი პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას ბიზნესის, ადმინისტრირებისა და სამართლის, განათლების, ჯანდაცვის და სოციალური კეთილდღეობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობისა და ვეტერინარიის, მომსახურების, ინჟინერიის, წარმოებისა და მშენებლობის მიმართულებით.

კოლეჯის სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდების უზრუნველყოფა **რეგიონის მასშტაბით**.

3.2. კოლეჯის განვითარების შესაძლებლობები

კოლეჯის განვითარების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განპირობებულია **ქვემო ქართლის რეგიონის** სოციალურ-ეკონომიკური დინამიკით. **რეგიონული მასშტაბით** მზარდია მოთხოვნა პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებულ, კვალიფიციურ კადრებზე.

აღნიშნული ტენდენციები ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

- ქვემო ქართლი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან რეგიონს, რაც ზრდის საგანმანათლებლო სერვისებზე მოთხოვნას;
- **რეგიონში** განვითარებულია მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და მომსახურების სფერო;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა განაპირობებს მოკლევადიანი და მოქნილი გადამზადების პროგრამების საჭიროებას.

3.5. დამსაქმებელთა ინტერესი

კოლეჯი გეგმავს აქტიურ თანამშრომლობას კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან **რეგიონულ დონეზე**, რაც მოიცავს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვასა და პრაქტიკის ობიექტების უზრუნველყოფას.

3.7. რისკები და გამოწვევები

იდენტიფიცირებული რისკები:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განახლების ფინანსური რესურსები;
2. კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვა;
3. შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილება.

რისკების მართვის მექანიზმები:

- პარტნიორობის განვითარება **რეგიონის** წამყვან სამედიცინო, ვეტერინარულ და IT ორგანიზაციებთან;

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარება;
- ფინანსური რესურსების დივერსიფიკაცია დონორებთან თანამშრომლობით.

3.10. ორგანიზაციის ძლიერი მხარეები

- დამფუძნებელთა მხარდაჭერა და **რეგიონული მასშტაბის** სტრატეგიული ხედვა;
- შრომის ბაზარზე მოთხოვნად სფეროებზე ორიენტირებული პროგრამული პორტფელი;
- მრავალპროფილური განვითარების პოტენციალი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვისკენ მიმართული თანამედროვე მიდგომა.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
დამფუძნებელთა მხარდაჭერა და სტრატეგიული ხედვა	შეზღუდული ინსტიტუციური გამოცდილება
შრომის ბაზარზე მოთხოვნად მრავალპროფილურ საგანმანათლებლო მიმართულებებზე ორიენტაცია	საწყის ეტაპზე ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროება
სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის მზადყოფნა	რეგიონში კვალიფიციური პერსონალის დეფიციტი
პარტნიორული თანამშრომლობის განვითარების კარგი პოტენციალი	არადივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროები

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის ორიენტაცია	ცნობადობის დაბალი დონე
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად გაცხადებული პროფესიული განათლება და სწავლის ვაუჩერული დაფინანსების სისტემა	ფინანსური რესურსების მოძიების სირთულე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისთვის
დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაძლიერება	შრომის ბაზრის სწრაფი ცვლილება
პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების განვითარება	კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის სირთულე
რეგიონში პროფესიული განათლების მზარდი მოთხოვნა	სტუდენტთა კონტინგენტის არასტაბილურობა
საგანმანათლებლო პროგრამების დივერსიფიკაცია	ფორსმაჟორული ფაქტორები

4. სტრატეგიული მიზნები (2026–2033)

2026–2033 წლების პერიოდში კოლეჯი საქმიანობას წარმართავს ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით:

4.1. ინსტიტუციური განვითარება და საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება

კოლეჯის პრიორიტეტია უწყვეტი ინსტიტუციური განვითარება, რომლის ამოსავალი პრინციპი **რეგიონული შრომის ბაზრის** მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და რეალიზებაა.

ძირითადი ამოცანები:

- პრიორიტეტულ სფეროებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება (საექთნო საქმე, ვეტერინარია, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა, სკოლამდელი აღზრდა, საფინანსო სერვისები, შრომის უსაფრთხოება);
- მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შექმნა და განხორციელება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) პრინციპის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;
- კვალიფიციური კადრების მომზადების მაჩვენებლის ზრდა **რეგიონის მასშტაბით**;
- საგანმანათლებლო რესურსებისა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი სრულყოფა.

4.2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

კოლეჯი აამოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ეროვნულ ავტორიზაციის სტანდარტებთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან.

სისტემის მიზნები:

- სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და მონიტორინგი;
- ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვა;
- პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებულ პირთა და ბენეფიციართა უფლებების დაცვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აქტუალობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად;
- ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების ქმედითი მექანიზმების დანერგვა.

4.3. ადამიანური რესურსების განვითარება და ფინანსური მდგრადობა

კოლეჯი დანერგავს ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებული იქნება პერსონალის პროფესიულ ზრდასა და ინსტიტუციურ გაძლიერებაზე.

სამოქმედო მიმართულებები:

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი გადამზადება და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა;
- სწავლების მეთოდოლოგიის ინოვაციური განახლება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემური მხარდაჭერა;
- დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა და შემოსავლების დივერსიფიკაცია;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და დაწესებულების ფინანსური მდგრადობის გარანტირება;
- კურსდამთავრებულთა (შემდგომ ეტაპზე) აქტიური ჩართულობა კოლეჯის ცხოვრებაში.

4.4. პარტნიორობა, ინოვაციები და საერთაშორისო თანამშრომლობა

კოლეჯი განავითარებს მჭიდრო სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, მათ შორის საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, რათა უზრუნველყოს ინოვაციური მიდგომების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში.

დაგეგმილი აქტივობები:

- უახლესი ტექნოლოგიებისა და ციფრული ინსტრუმენტების ინტეგრირება სწავლებაში;
- ერთობლივი პროექტების განხორციელება წამყვან დამსაქმებლებთან და სექტორულ გაერთიანებებთან;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობისა და გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერა;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილების ეტაპობრივი ადაპტაცია **რეგიონულ კონტექსტში**.

შპს „საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემია“ს განვითარების სტრატეგიული გეგმა 2026-2033 წლებისთვის

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირები	რისკები	შენიშვნა
	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	2030 - 2032	2031 - 2022	2032 - 2033				
	სტრატეგიული მიზანი №1 **ინსტიტუციური განვითარება და საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება**										
აკადემიის ავტორიზაცია	+							პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, იურისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი, შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მენეჯერი	-	
რეგიონისთვის პრიორიტეტულ სფეროებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	+	+	+	+	+	+	+	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი	-	
მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL)	+	+	+	+	+	+	+	სსიპ - განათლების ხარისხის	დირექტორი, დირექტორის მოადგილე,	-	

პრინციპის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;								განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული მოკელვადიანი მომზადების/გადამზადების პროფესიული პროგრამები	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი		
აკადემიაში ინკლუზიური განათლების დანერგვა და ხელშეწყობა;	+	+	+	+	+	+	+	ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი პირობების მტკიცებულებები და განვითარების ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი	-	
პროგრამების საგანმანათლებლო რესურსებისა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი სრულყოფა.	+	+	+	+	+	+	+	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებული საგანმანათლებლო რესურსებისა და სრულყოფილიმატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად განვითარების მტკიცებულებები	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი	-	
სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის ინოვაციური განახლება	+	+	+	+	+	+	+	განახლებული სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია, ჩატარებული ღონისძიებების	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი	-	

								მტკიცებულებები			
აკადემიის ადმინისტრირების პროცესის სრულყოფა/განვითარება	+	+	+	+	+	+	+	აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტებისა განვითარების ამსახველი დოკუმენტაცია	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი	-	
პროფესიულ სტუდენტთა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, მათ შორის სასერტიფიკატო პროგრამების მსმენელებისაც		+	+	+	+	+	+	პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის დინამიკა, სასერტიფიკატო პროგრამების მონაწილეების რაოდენობის დინამიკა	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;	დამოკიდებულია რეგიონალური შრომის ბაზრის მოთხოვნებზე	
აკადემიის ცნობადობის ამაღლება	+	+	+	+	+	+	+	კოლეჯის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის ფაქტობრივი მდგომარეობა, გასვლითი ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტები	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	-	
	სტრატეგიული მიზანი №2 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება										
	წლები							შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირები	რისკები	

	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030	2030-2032	2031-2022	2032-2033				
ეროვნულ ავტორიზაციის სტანდარტებთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარება	+	+	+	+	+	+	+	ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის დანერგვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი		
ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვა				+	+	+	+	ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმები და გაცემული დოკუმენტები	დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი	-	
	სტრატეგიული მიზანი №3 ადამიანური რესურსების განვითარება და ფინანსური მდგრადობა										
	წლები							შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირები	რისკები	
	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030	2030-2032	2031-2022	2032-2033				

ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე პოლიტიკის დანერგვა	+	+	+	+	+	+	+	ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავებული დოკუმენტი, ანალიზის დოკუმენტები, რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები	დირექტორი დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი	არასაკმარისი საშტატო ერთეულები	
პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი გადამზადება და კვალიფიციური კადრების მოზიდვა;	+	+	+	+	+	+	+	ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გაცემული სერტიფიკატები	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი	-	
ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემური მხარდაჭერა;		+	+	+	+	+	+	ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები და სერტიფიკატები	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი		
სსსმ და შშმ პირთა პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირება და მხარდაჭერა				+	+	+	+	სსსმ და შშმ პირთა პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირების ღონისძიებებისა და	დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და	-	

								ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია	სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი		
რაციონალური ფინანსური პოლიტიკის წარმოება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სისტემის დანერგვა				+	+	+	+	დაფინანსების დივერსიფიცირება და კანონმდებლობის შესაბამისად გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშგება	დირექტორი, ფინანსური მენეჯერი	-	
შემოსავლის მომტანი ინოვაციური პროექტების იდენტიფიცირება და განხორციელება				+	+	+	+	პროექტების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, იურისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი,	არასაკმარისი დაფინანსება	
კოლეჯის საქმიანობაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის მოტივირება			+	+	+	+	+	სტუდენტების კურიკულუმსგარეშე აქტივობების, მათი დასაქმების, ჯილდოებისა და სხვა წამახალისებელი ქმედებების ამსახველი დოკუმენტაცია	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, შესყიდვების მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი	არასაკმარისი დაფინანსება	
	სტრატეგიული მიზანი №4										

	პარტნიორობა, ინოვაციები და საერთაშორისო თანამშრომლობა										
	წლები							შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირები	რისკები	
	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030	2030-2032	2031-2022	2032-2033				
სასწავლო-სამეწარმეო, ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან, ინსტიტუციებთან, დაწესებულებებთან, კომპანიებთან და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უახლესი ტექნოლოგიების, ციფრული ინსტრუმენტების, საერთაშორისო კვალიფიციებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.		+	+	+	+	+	+	უახლესი ტექნოლოგიების, ციფრული ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიების დანერგვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საერთაშორისო კვალიფიკაციების დანერგვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	-	
ერთობლივი პროექტების განხორციელება წამყვან დამსაქმებლებთან და სექტორულ გაერთიანებებთან;			+	+	+	+	+	ერთობლივი პროექტების განხორციელების მტკიცებულებები	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი		
საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილების ეტაპობრივი ადაპტაცია რეგიონულ კონტექსტში.			+	+	+	+	+	საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარების მტკიცებულებები	დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი		

ერაზმუს + ში ჩართვის შესაძლებლობების მხარდაჭერა პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და მენეჯმენტისთვის.				+	+	+	+	ერთობლივი, გაცვლითი და სასტიპენდიო პროგრამები	დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი	-	

კოლეჯის გერბი	
კოლეჯის სლოგანია:	შექმენი შენი წარმატებული მომავალი ჩვენთან ერთად!
კოლეჯის პარტნიორები:	

	ი/მ ბესიკი ამირანაშვილი-სასაკლაო შპს „ოქროს ბიბილო“ შპს ,,ზეი ltd ZEI“ შპს ვეტკლინიკა კოჩალიძის ფერმა ინდ მეწარმე ვაჟა ბეგიაშვილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) ვიტრაჟების საწარმო შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო კომპანია.
მისამართი:	ქვემო ქართლი, ქ.მარნეული 19-ე ქუჩა N3
E-mail:	iapacademy9@gmail.com
სოციალური ქსელები	https://www.facebook.com/profile.php?id=61579487643465&sk=about
ხარისხის მართვის მენეჯერი:	სესილია სიჭინავა